მეორეული ტექტონიკური დეფორმაციების სტრუქტურულ-კინემატიკური ინტერპრეტაცია ქ.თბილისის ფარგლებში

გვანცა ყანჩაშვილი

gvantsa.kanchashvili104@ens.tsu.edu.ge

გეოლოგიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
უნივერსიტეტის ქ. 13, თბილისი, საქართველო, 0186

ქ.თბილისის ფარგლებში ჩვენ მიერ ჩატარებული საველე დაკვირვებების შედეგად, დაფიქსირდა მრავალი მცირე ამპლიტუდიანი ძირითადად მეორეული ტექტონიკური სტრუქტურები: რღვევები, ნაოჭები, ფლექსურები და სხვა სახის ტექტონიკური დეფორ-მაციები. გარდა ბუნებრივი გაშიშვლებებისა, ძირითადი მასალა მოპოვებული იქნა ბინათმშენებლობის პროცესში, ახლად გაჭრილი ფუნდამენტების ქვაბულებში. აქ გამოვ-ლენილი ტექტონიკური სტრუქტურები წარმოადგენს ახალ, პირველად მასალას. შესწავ-ლილი ტექტონიკური დეფორმაციების სტრუქტურულ-კინემატიკური ინტერპრეტაცია მიანიშნებს ჩრდილო მიმართულების ჰორიზონტალური კუმშვის ვექტორისა და ე.წ თბილისის მერიდიანული სიღრმული რღვევის დინამიკური ზემოქმედების არეალის არსებობაზე.